ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ანტონ ხუნდაძეს
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებლის თამაზ ჯინჭარაძის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 27 დეკემბრის N33 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ"- ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი საერთო მოცულობაში უნდა გაიზარდოს სულ 2031,3 ათასი ლარით, მათ შორის: ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის N641 განკარგულების საფუძველზე 1887,7 ათასი ლარით;

გარდა აღნიშნულისა უნდა გაიზარდოს ადგილობრივი შემოსავლების გეგმა (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის) 143,6 ათასი ლარით.

აღნიშნულის შედეგად ბიუჯეტის მოცულობა გახდება 11 168,9 ათასი ლარი (ნაშთის ჩათვლით) საიდანაც მთავრობის განკარგულებით მიღებული (სპეციალური დანიშნულების ტრანსფერი) 1887,7 ათასი ლარი უნდა გაიხარჯოს მიზნობრივად შემდეგი დანიშნულებით:

- დაბა ჩოხატაურში აღმაშენებლის ქუჩაზე ასფალტო - ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე - 460,0 (ოთხას სამოცი) ათასი ლარი;
- დაბა ჩოხატაურში ბენდელიანის და წერეთლის ქუჩაზე ასფალტო - ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე 438,3 - (ოთხასოცდათვრამეტი ათას სამასი) ათასი ლარი;
- დაბა ჩოხატაურში გურგენიძის, ლესელიძის, კოსტავას და ბახმაროს ქუჩაზე ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე - 461,1 (ოთხას სამოცდაერთი ათას ასი) ათასი ლარი;
- დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის ქუჩის პირველი ჩიხის, მარის, კოსტავას და ბახმაროს ქუჩებზე გარე განათების ქსელის გაგრძელების სამუშაოებისათვის - 20,4 (ოცი ათას ოთხასი) ათასი ლარი;
- დაბა ჩოხატაურში N1 საბავშვო ბაღის და N, N2 ბაგა ბაღების რეაბილიტაციისათვის - 195,1 (ასოთხმოცდათხუთმეტი ათას ასი) ათასი ლარი;
- სოფ. სამებაში, ერკეთში, იანეულში და ამაღლებაში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის - 147,9 (ასორმოცდაშვიდი ათას ექვსასი) ათასი ლარი;
- სოფ. ზოტში საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის - 164,9 (ასსამოცდა ოთხი ათას ცხრაასი) ათასი ლარი;

ადგილობრივი შემოსავლების გაზრდის შედეგად მიღებული თანხა 143,6 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებაზე:

- ა(ა)იპ სასპორტო სკოლას - 12,0 ათასი ლარი (სპორტული დარბაზის ნაწილობრივ რეაბილიტაციისათვის);

- ა(ა)იპ ს.ს.ს. დაწესებულება ,,მომავალი"-ს სუბსიდია 16,5 ათასი ლარი;

- ა(ა)იპ კულტურის ცენტრი სუბსიდია - 12 ,0 ათასი ლარი (ჩოხებისა და აქსესუარების შესაძენად)

- მუნიციპალიტეტის აგრარული ბაზრის წინა ტერიტორიისა და რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 24 ბინიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებზე 10,0 ათასი ლარი;

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯებისათვის - 28,2 ათასი ლარი;

- მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯებისათვის - 52,4 ათასი ლარი;

- სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხარჯებისათვის - 7,5 ათასი ლარი;

თან წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 დანართებით.

მუნიციპალიტეტის გამგებელის

თამაზ ჯინჭარაძე

მოვალეობის შემსრულებელი:

მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო

სამსახურის უფროსი: *ზურაბ ჩანტლაძე*